სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამის სახელწოდება (ქართულად და ინგლისურად)	**პოლიტიკის მეცნიერება** **Political Science**
მისანიჭებელი კვალიფიკაცია (ქართულად და ინგლისურად)	**პროგრამის პირველი ნაწილის დასრულების შემდგომ:** პოლიტიკის მეცნიერების მაგისტრი / Master of Political Science **პროგრამის მეორე ნაწილის დასრულების შემდგომ:** კვლევის მაგისტრი პოლიტიკის მეცნიერებაში/ Master of Research in Political Science
პროგრამის მოცულობა კრედიტებით და მათი განაწილება	**საგანმანათლებლო პროგრამა შედგება ორი ნაწილისაგან:** **პირველი ნაწილი:** კრედიტების მოცულობა - 60 კრედიტი (ECTS), მათ შორის: სავალდებულო სასწავლო კურსები: 35 კრედიტი არჩევითი სასწავლო კურსები: 25 სწავლის ხანგრძლივობა: არანაკლებ ორი სემესტრისა. **მეორე ნაწილი:** კრედიტების მოცულობა - 60 კრედიტი (ECTS), მათ შორის: სავალდებულო სასწავლო კურსები: 20 კრედიტი არჩევითი სასწავლო კურსები:10 საკვალიფიკაციო ნაშრომი: 30 კრედიტი სწავლის ხანგრძლივობა: არანაკლებ ორი სემესტრისა.
სწავლების ენა	ქართული
პროგრამის ხელმძღვანელი /კოორდინატორი	**მალხაზ მაცაბერიძე** პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ლაშა ჭანტურიძე,** ფილოსოფიის დოქტორი, პროფესორი
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის **პირველ ნაწილზე** (60 კრედიტიანი) ჩარიცხვის უფლება აქვს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელიც ჩაირიცხება საერთო სამაგისტრო გამოცდების შედეგებისა და ქვემოთ ჩამოთვლილი გამოცდების საფუძველზე: • ზეპირი გამოცდა ინგლისურ ენაში (ან დადასტურება შესაბამისი სერთიფიკატით) – B2 დონე (20 %); • გამოცდა სპეციალობაში (შიდა საუნივერსიტეტო გამოცდების საფუძველზე) - წერითი გამოცდა

	პოლიტიკურ მეცნიერებაში (80 %). მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის **მეორე ნაწილზე** (60 კრედიტიანი) ჩარიცხვის უფლება აქვს პოლიტიკური მეცნიერების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მქონე პირს (პროგრამის პირველი ნაწილის დასრულებით). ამ ნაწილზე დამატებითი პირობები განისაზღვრება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამისი ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის დებულებით, საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად.
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	**მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის - პოლიტიკური მეცნიერება (პირველი ნაწილი)** მიზანია: • სტუდენტს მისცეს სიღრმისეული ცოდნა პოლიტიკის მეცნიერებაში, შესაბამისად მის სუბდისციპლინებში, რათა მან შეძლოს საკუთარი წვლილის შეტანა დარგის განვითარებასა და საზოგადოებრივი პრობლემების გადაჭრის პროცესში; **მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის - პოლიტიკური მეცნიერება (მეორე ნაწილი)** მიზანია: • პასუხისმგებლიანი და მოტივირებული დარგის სპეციალისტის მომზადება, რომელსაც აქვს დარგობრივი ცოდნისა და კომპეტენციების დემონსტრირების უნარი, რასაც ის ავლენს დასაქმების ადგილას კონკრეტული პოზიციის ფარგლებში; • მოამზადოს პოლიტიკის მეცნიერების ღრმა, სისტემური და ინოვაციური ცოდნით აღჭურვილი სპეციალისტი, რომელსაც შეეძლება აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვით პოლიტიკის მეცნიერების რომელიმე სუბდისციპლინაში კვლევის დამოუკიდებლად ორგანიზება და ჩატარება; პოლიტიკის მეცნიერებაში ახალი, ინოვაციური იდეების შექმნა და საკუთარი წვლილის შეტანა დარგის განვითარებასა და საზოგადოებრივი პრობლემების გადაჭრის პროცესში.
სწავლის შედეგები	**პოლიტიკის მეცნიერების მაგისტრი** არის სპეციალისტი, რომელმაც სიღრმისეულად აითვისა პოლიტიკური თეორიების, შედარებითი პოლიტიკის, საერთაშორისო ურთიერთობებისა და მომიჯნავე ს დისციპლინების სამაგისტრო კურსები და ფლობს დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განხორციელების კომპეტენციას. **მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის (პირველი ნაწილი) კურსდამთავრებული:** ***ცოდნა და გაცნობიერება***

	1.1 სისტემურად აღწერს თანამედროვე პოლიტიკის მეცნიერებაში არსებულ ძირითად თეორიულ მიმართულებებსა და დილემებს; 1.2 აცნობიერებს რა თანამედროვე პოლიტიკის მეცნიერებისა და მისი ცალკეული მიმართულებების ინტერესისა და გავლენის სფეროებს, განმარტავს აქტუალურ საკითხებს უახლესი თეორიების საფუძველზე; **უნარი** 2.1 სხვადასხვა პოლიტიკური პროცესისა და მოვლენის განხილვისას, კრიტიკულად აანალიზებს და აფასებს განსხვავებულ პოლიტიკურ პოზიციებს; 2.2 კრიტიკულად მიმოიხილავს, აჯამებს და აფასებს პოლიტიკის მეცნიერების რომელიმე სუბდისციპლინაში არსებულ დარგობრივ ლიტერატურას; ***პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა*** 3.1 აკადემიური წერისა და კეთილსინდისიერების სტანდარტების დაცვით, უახლესი ცოდნის გამოყენებით, დამოუკიდებლად პრეზენტაციას დარგობრივ საკითხზე და ეფექტურად, საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით, წარადგენს აუდიტორიის წინაშე. **მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის (II ნაწილი) დასრულების შემდეგ, კურსდამთავრებული:** ***ცოდნა და გაცნობიერება*** 1.1 სიღრმისეულად აცნობიერებს რა თანამედროვე პოლიტიკის მეცნიერებისა და მისი ცალკეული მიმართულებების ინტერესისა და გავლენის სფეროებს, განმარტავს აქტუალურ საკითხებს უახლესი თეორიების საფუძველზე. 1.2 სისტემურად და სიღრმისეულად აღწერს პოლიტიკის მეცნიერების კვლევის მეთოდოლოგიის ბუნებასა და შეზღუდვებს. ***უნარი*** 2.1 კრიტიკულად მიმოიხილავს, აჯამებს და აფასებს პოლიტიკის მეცნიერების რომელიმე სუბდისციპლინაში არსებულ დარგობრივ ლიტერატურას; დამოუკიდებლად მოიძიებს, აორგანიზებს, აღწერს და ინტერპრეტირებს პირველად და პირველად და მეორეულ, რაოდენობრივ და თვისებრივ მონაცემებს;

	2.2 დამოუკიდებლად ირჩევს თანამედროვე პოლიტიკის მეცნიერებისთვის აქტუალურ საკვლევ საკითხს, განსაზღვრავს და არგუმენტირებულად ასაბუთებს შერჩეულ კვლევის მეთოდოლოგიასა და თეორიულ ჩარჩოს, აგებს კვლევის დიზაინს, აორგანიზებს და ატარებს საველე სამუშაოებს, გამოკვეთს მისი კვლევის ღირებულებას დარგის განვითარებისთვალსაზრისით; ***პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა*** 3.1 აკადემიური წერისა და კეთილსინდისიერების სტანდარტების დაცვით, უახლესი ცოდნის გამოყენებით, დამოუკიდებლად ამზადებს საკვალიფიკაციო ნაშრომს და ეფექტურად, საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით,წარადგენს ზეპირ პრეზენტაციას; 3.2 დარგის განვითარებისა და საზოგადოებრივი პრობლემების გადაჭრის მიზნით, ეთიკური პრინციპების დაცვით, იყენებს საკუთარი ან/და სხვისი აკადემიური ნაშრომის მიგნებებს.
სწავლება-სწავლის მეთოდები	• ვერბალური, ახსნა-განმარტებითი მეთოდი; • ლიტერატურასა დასხვაწყაროებზემუშაობის მეთოდი; • საველეკვლევისადადაკვირვებისმეთოდი; • შედარებითი ანალიზისმეთოდი; • სივრცით-დროითი ანალიზისმეთოდი; • სისტემური მიდგომის მეთოდი; • მონაცემთა ვიზუალიზაციისადა კარტოგრაფიული მეთოდი; • გეოინფორმაციული (გის) მეთოდი; • გუნდური მუშაობა დადისკუსია; • SWOTანალიზი. • ელექტრონული სწავლების მეთოდი, • გუნდური მუშაობა და დისკუსია, • ელექტორნული სწავლების მეთოდები.
შეფასების სისტემა	**მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამაში (პირველი ნაწილი)** სტუდენტის მიერ სემესტრის განმავლობაში გაწეული შრომის შეფასება ითვალისწინებს: ა) მისი დამოუკიდებელი მუშაობის შეფასებას; ბ) შუა სემესტრულ რეიტინგულ შეფასებას; გ) სემესტრის დასკვნით შეფასებას. *შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) განესაზღვრება ხვედრითი წილი საბოლოო შეფასებაში.* *დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან დასკვნითი შეფასება) გამოყენებით.*

	შეფასების სისტემა უშვებს: ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას: • **ფრიადი** – შეფასების 91-100 ქულა; • **ძალიან კარგი** – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა; • **კარგი** – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა; • **დამაკმაყოფილებელი** – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა; • **საკმარისი** – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა. ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას: • **(FX) ვერ ჩააბარა**–მაქსიმალური შეფასების 41-50ქულა,რაც ნიშნავს,რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება; • **(F) ჩაიჭრა**–მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს,რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში, დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა. შეფასების კრიტერიუმები წარმოადგენს შეფასების მეთოდის საზომ ერთეულს, რითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე საგანმანათლებო პროგრამის თითოეული კომპონენტებისთვის. დასკვნით გამოცდაზე გასვლის წინაპირობა განისაზღვრება შესაბამისი სასწავლო კურსების სილაბუსებში, ხოლო დასკვნითი გამოცდა ითვლება ჩაბარებულად, თუ სტუდენტმა გამოცდაზე მიიღო მაქსიმალური ქულის 50 % (დამატებითი პირობები განისაზღვრება შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსის მიხედვით).

	მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის (მეორე ნაწილი) ფარგლებში: სტუდენტი პირველ სემესტრში ეუფლება კვლევითი კომპენენციის ჩამაღრმავებელ და ინტერდისციპლინურ სასწავლო კურსებს (იხ. სასწავლო კურსების შეფასების სქემა, პროგრამის პირველი ნაწილის შეფასების სისტემის რუბრიკაში), რის საფუძველზეც დამასრულებელ სემესტრში გეგმავს და ამზადებს კვლევით კომპონენტს - სამაგისტრო ნაშრომს, რომლის მომზადებისა და დაცვის წესი დამტკიცებულია სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე. შესაბამისი მარეგულირებელი წესის თანახმად: **სამაგისტრო ნაშრომი წარმოადგენს სტუდენტის მიერ ინდივიდუალურად შესრულებულ სამუშაოს.** **სამაგისტრო ნაშრომი ფასდება ერთჯერადად, დასკვნითი შეფასებით, 100 ქულიანი სისტემით.** სამაგისტრო ნაშრომი დაცულად ჩაითვლება და მაგისტრანტს შესაბამისი კრედიტი მიენიჭება წინასწარ დადგენილი მინიმალური ზღვარის გადალახვის შემთხვევაში (არანაკლებ 51 ქულა). მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევით კომპონენტში - **(FX) (ვერ ჩააბარა)** შეფასების მიღების შემთხვევაში მაგისტრანტს უფლება ეძლევა გადამუშავებული სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი წარადგინოს მომდევნო სემესტრის განმავლობაში, ხოლო - **(F) (ჩაიჭრა)** შეფასების მიღების შემთხვევაში მაგისტრანტი კარგავს იგივე სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარდგენის უფლებას[1].“ კომისიის გადაწყვეტილება საბოლოა. **სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები:** **ა) აქტუალობა - 5 ქულა** (ფასდება თემის აქტუალობა და სიახლე). **ბ) კვლევის მეთოდოლოგია - 20 ქულა** (ფასდება მიზნებისა და ამოცანების ადეკვატურობა, საკვლევი კითხვის/ჰიპოთეზის გამართულობა, დამოკიდებულ და დამოუკიდებელ ცვლადებს შორის მიმართებების დადგენის სისწორე (საჭიროების შემთხვევაში), გამართული და კვლევის მიზანთან მისადაგებული კვლევის დიზაინი, ემპირიული მონაცემების ანალიზის სრულყოფილად წარმოდგენა).

[1] https://bit.ly/3kDfjht - სამაგისტრო ნაშრომის დაცვის წესი

	გ) ლიტერატურის მიმოხილვა და თეორიული კომპონენტი - 20 ქულა (ფასდება რელევანტური, თანამედროვე და მრავალფეროვანი ლიტერატურის, მათ შორის უცხოურენოვანი წყაროების, დამუშავების სრულყოფილება, თეორიული მასალის კრიტიკული ანალიზი). **დ) ანალიზისა და არგუმენტაციის უნარი - 30 ქულა** (ფასდება ავტორის მსჯელობის თანმიმდევრულობა, მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენისა და ადეკვატური დასკვნების გამოტანის უნარი, დასკვნების კავშირი ძირითად ტექსტთან და მათი ლოგიკურობა). **ე) ნაშრომის ფორმალური და ენობრივ-სტილისტური მხარე - 10 ქულა** (ფასდება წარმოდგენილი ნაშრომის ენობრივი გამართულობა, აკადემიური სტილი, წყაროების მითითების სისრულე და კორექტულობა, რუკების, ცხრილების, გრაფიკების შესაბამისობა და შესრულების ხარისხი, ნაშრომის გაფორმების მოცემულ სტანდარტთან შესაბამისობა, APA/ტურაბიანის სტილის დაცვა). **ვ) ნაშრომის ვიზუალური მხარე, მომხსენებლის საპრეზენტაციო და საკომუნიკაციო უნარები - 15 ქულა** (ფასდება ნაშრომის შინაარსისა და შედეგების დემონსტრირების ვიზუალური (ტექნიკური და ესთეტიკური) მხარე, თვალსაჩინო მასალის არსებობა, მისი ადეკვატურობა და ხარისხი, პრეზენტაციის თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება, მაგ: PowerPoint, დიგიტალური რუკები, ცხრილები, გრაფიკები და სხვ.); მაგისტრანტის პასუხები კითხვებსა და შენიშვნებზე).
დასაქმების სფეროები	პროგრამის კურსდამთავრებულებს ექნებათ დასაქმების ფართო ასპარეზი საჯარო სამსახურში, დიპლომატიურ მისიებში, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებში, კვლევით ცენტრებში (Think Tanks), მედიასა და კერძო კომპანიების Government Relations (GR) დეპარტამენტებში, ასევე შეეძლებათ აკადემიური კარიერის გაგრძელება სადოქტორო საფეხურზე. **მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის (პირველი ნაწილი) კურსდამთავრებულს შესაძლებლობა აქვს დასაქმდეს:** საჯარო, კერძო და არასამთავრობო სექტორში **საორგანიზაციო, ადმინისტრაციულ, ლოგისტიკურ და კომუნიკაციის პოზიციებზე**, მათ შორის: პროექტების ასისტენტად, საჯარო უწყებებისა და პოლიტიკური პარტიების აპარატის თანამშრომლად, მედია-პროდიუსერად, PR ასისტენტად და უმცროს კოორდინატორად. 1. საჯარო სამსახური (ადმინისტრაციული და საოპერაციო პოზიციები)

	სამინისტროებისა და მერიების აპარატები: სპეციალისტი ან უფროსი სპეციალისტი საქმისწარმოების, მოქალაქეებთან ურთიერთობის ან რეგიონული მართვის დეპარტამენტებში. **საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ოფიცერი:** პირი, რომელიც პასუხისმგებელია მოქალაქეებისთვის და ორგანიზაციებისთვის საჯარო ინფორმაციის გაცემაზე. **ადგილობრივი თვითმმართველობა (მერია/საკრებულო):** დაბალი და საშუალო რგოლის მენეჯერული პოზიციები, სადაც საჭიროა კანონმდებლობის ცოდნა და მიმდინარე პროექტების ადმინისტრირება. 2. პოლიტიკური პარტიები და საარჩევნო შტაბები პოლიტიკურ ორგანიზაციებს ყოველდღიური ფუნქციონირებისთვის სჭირდებათ პოლიტიკური განათლების მქონე კადრები: **პარტიული აპარატის თანამშრომელი:** რეგიონული ოფისების კოორდინატორი, წევრებთან მუშაობის სპეციალისტი. **საარჩევნო კამპანიის ორგანიზატორი / ლოგისტიკის მენეჯერი:** არჩევნების პერიოდში შტაბების მუშაობის მოწყობა, მოხალისეების მართვა და შეხვედრების ორგანიზება. 3. არასამთავრობო სექტორი (NGOs) – საოპერაციო ნაწილი არასამთავრობო ორგანიზაციებში დასაქმება შესაძლებელია არა მკვლევრის, არამედ პროექტის განმახორციელებლის პოზიციაზე: **პროექტის ასისტენტი / კოორდინატორი (Project Assistant/Coordinator):** ტრენინგების, კონფერენციებისა და სემინარების ორგანიზება, პარტნიორებთან კომუნიკაცია, ლოგისტიკა. **ბენეფიციარებთან და თემთან მომუშავე ოფიცერი (Community Officer):** უშუალო მუშაობა სამიზნე ჯგუფებთან (მაგ. ახალგაზრდებთან, ეთნიკურ უმცირესობებთან და ა.შ.). 4. მედია, PR და კომუნიკაციები პოლიტიკური პროცესების ცოდნა დიდი უპირატესობაა მედია სივრცეში, თუნდაც სამეცნიერო ამბიციების გარეშე: **ახალი ამბების პროდიუსერი / ჟურნალისტი:** პოლიტიკური ახალი ამბების გაშუქება, რეპორტაჟების მომზადება, ინტერვიუების ორგანიზება. **PR ასისტენტი:** პოლიტიკურ ორგანიზაციებში, საჯარო უწყებებში ან კომპანიებში პრესრელიზების წერა, სოციალური მედიის (სმმ) მართვა და მედიასთან კომუნიკაციის დამყარება. 5. კერძო სექტორი (ადმინისტრაციული პოზიციები) ბიზნეს კომპანიები ხშირად აფასებენ სოციალური მეცნიერებების კურსდამთავრებულებს მათი კომუნიკაბელურობისა და ფართო მსოფლმხედველობის გამო:

	კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის (CSR) ასისტენტი: კომპანიის მიერ სოციალური და საქველმოქმედო პროექტების დაგეგმვაში მონაწილეობა. **HR (ადამიანური რესურსების) უმცროსი სპეციალისტი / ოფისის მენეჯერი:** ორგანიზაციული კულტურისა და შიდა კომუნიკაციების მართვა. **მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის (მეორე ნაწილი) კურსდამთავრებულს შესაძლებლობა აქვს დამატებით დასაქმდეს:** **წამყვან და მენეჯერულ პოზიციებზე აკადემიურ და კვლევით ორგანიზაციებში (Think Tanks), სახელმწიფო უწყებების სტრატეგიული დაგეგმვის დეპარტამენტებში, საერთაშორისო ორგანიზაციებში (UN, EU, USAID) პოლიტიკის ექსპერტად/მრჩევლად, და კერძო სექტორში პოლიტიკური რისკების ანალიტიკოსად.** გარდა ამისა, კურსდამთავრებული სრულად არის მომზადებული სწავლის გასაგრძელებლად სადოქტორო (Ph.D.) საფეხურზე. ძირითადი სფეროები და კონკრეტული პოზიციები მეორე წლის კურსდამთავრებულებისთვის: 1. კვლევითი ორგანიზაციები და „აზრის ცენტრები“ (Think Tanks) ეს არის ყველაზე პირდაპირი სფერო, სადაც მეორე წლის განმავლობაში შეძენილი უნარები კრიტიკულად აუცილებელია: **უფროსი მკვლევარი (Senior Researcher) / პოლიტიკის ანალიტიკოსი (Policy Analyst):** პოლიტიკური, ეკონომიკური ან სოციალური რეფორმების კვლევა, შეფასება და რეკომენდაციების მომზადება (მაგალითად: GFSIS (რონდელის ფონდი), CRRC, TASC, EPRC და სხვ.). **მონაცემთა ანალიტიკოსი (Data Analyst):** სოციოლოგიური კვლევების დაგეგმვა, სტატისტიკური პროგრამების (SPSS, R, Stata) გამოყენებით მონაცემების დამუშავება და მოდელირება. 2. საჯარო სექტორი (სტრატეგიული და ანალიტიკური დეპარტამენტები) აქ მეორე წლის კურსდამთავრებულები საქმდებიან არა ადმინისტრაციულ, არამედ შინაარსობრივ და ანალიტიკურ პოზიციებზე: **სტრატეგიული დაგეგმვისა და ანალიზის დეპარტამენტი:** (სამინისტროებში, მთავრობის ადმინისტრაციაში ან პრეზიდენტის სასახლეში) — ქვეყნის შიდა და საგარეო პოლიტიკური სტრატეგიების შემუშავება და რისკების შეფასება. **დიპლომატიური სამსახური (საგარეო საქმეთა სამინისტრო / საელჩოები):** პოლიტიკური ატაშე, ანალიტიკოსი, რომელიც

	ამზადებს ყოველდღიურ ანალიტიკურ მოხსენებებს მასპინძელ ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე. **ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს აპარატი:** უსაფრთხოების, გეოპოლიტიკური რისკებისა და ჰიბრიდული საფრთხეების ანალიზი. 3. საერთაშორისო ორგანიზაციები და დონორები (INGOs) საერთაშორისო ფონდები და მისიები (UN, EU, OSCE, NATO, USAID, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ) და ა.შ.) მუდმივად საჭიროებენ ადგილობრივ ექსპერტებს: **პროგრამის შეფასებისა და მონიტორინგის ოფიცერი (M&E Officer):** საერთაშორისო პროექტების ეფექტურობის სამეცნიერო/სტატისტიკური მეთოდებით შეფასება. **პოლიტიკის მრჩეველი / ექსპერტი (Policy Advisor):** კონკრეტულ ვიწრო მიმართულებებში (დემოკრატიზაცია, ადამიანის უფლებები, საარჩევნო რეფორმა) დონორებისთვის სტრატეგიული გეგმების მომზადება. 4. კერძო სექტორი (Business Intelligence & Risk Assessment) მსხვილი ბიზნესები, ბანკები და საერთაშორისო კორპორაციები დიდ რესურსს დებენ იმაში, რომ იწინასწარმეტყველონ პოლიტიკური კრიზისები: **პოლიტიკური რისკების ანალიტიკოსი (Political Risk Analyst):** აფასებს, თუ როგორ იმოქმედებს ქვეყანაში არსებული პოლიტიკური არასტაბილურობა, არჩევნები ან საკანონმდებლო ცვლილებები ბიზნესზე/ინვესტიციებზე. **GR მენეჯერი (Government Relations Manager):** კომპანიის ინტერესების ლობირება და სტრატეგიული კომუნიკაცია სახელმწიფო სტრუქტურებთან კვლევებზე დაყრდნობილი არგუმენტებით.
სწავლის გაგრძელების პერსპექტივა	მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის **(ნაწილი I)** კურსდამთავრებული უფლებამოსილია, სწავლა განაგრძოს საქართველოს ან სხვა ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ამავე დარგის მაგისტრატურის პროგრამის II ნაწილზე, რომელიც ორიენტირებულია შემდგომი დონის სპეციალისტისა და მკვლევარის მომზადებაზე. მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის **(ნაწილი II)** კურსდამთავრებული უფლებამოსილია, სწავლა განაგრძოს საქართველოს ან სხვა ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ამავე სპეციალობის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელიც ორიენტირებულია შემდგომი დონის სპეციალისტისა და მკვლევრის მომზადებაზე.

სწავლის საფასური საქართველოს მოქალაქე და უცხო ქვეყნის მოქალაქე სტუდენტებისათვის	• საქართველოს მოქალაქის სწავლას სრულად აფინანსებს სახელმწიფო; • სხვა პირის სწავლის სახელმწიფოს მიერ დაფინანსების წესსა და პირობებს ადგენს საქართველოს მთავრობა.
პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ადამიანური და მატერიალური რესურსი	პროგრამის განხორციელებაში უმეტესწილად მონაწილეობენ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პოლიტიკური მეცნიერების მიმართულების აკადემიური და ასევე მოწვეული პერსონალი. **პროგრამის მატერიალურ-ტექნიკურ მუშაობას უზრუნველყოფს:** • თსუ-ს კომპიუტერული ბაზები; • თსუ-ს და ფაკულტეტის რესურს–ცენტრები; • სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიბლიოთეკა (თსუ-ს III კორპუსი); • ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკები (ცენტრალური საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკა, რომელიც მდებარეობს უნივერსიტეტის ქუჩა N11-ში; შოთა რუსთაველის სახელობის სამკითხველო დარბაზი რომელიც მდებარეობს ი. ჭავჭავაძის გამზირი N1-ში, I კორპუსი); • თსუ-ს ელექტრონული სწავლების პორტალები; • თსუ-ს სტუდენტებს და პროფესორ-მასწავლებლებს შეუზღუდავი და ულიმიტო წვდომა აქვთ ისეთ ელექტრონულ ბაზებსა და ჟურნალებზე, როგორებიცაა: EBSCO Publishing, Cambridge University Journals, JStor, Scopus და სხვა. • სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის შესაბამისი ინვენტარით აღჭურვილი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა; • ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა და სხვა.
პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა	პროგრამას ფინანსურად უზრუნველყოფს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (თსუ).
აკადემიური კეთილსინდისიერება	აკადემიურ კეთილსინდისიერებას ძალიან დიდი ყურადღება ეთმობა აღნიშნული პროგრამის ფარგლებში. • სტუდენტმა უნდა წარმოადგინოს მხოლოდ მის მიერ დამოუკიდებლად მომზადებული დავალება, ნაშრომი, რომელშიც აკადემიური სტილის დაცვით მითითებული იქნება, თუ ვის ეკუთვნის ესა თუ ის იდეა და/ან სიტყვები;

	• სტუდენტმა არ უნდა გამოიყენოს ნაშრომი და/ან ნაშრომის ნაწილი, რომელიც სხვა სასწავლო კურსისთვის მოამზადა; ასევე არ უნდა მოახდინოს მონაცემთა ან სხვა ინფორმაციის გაყალბება, და არ უნდა გადაიწეროს ნაშრომი. იმ შემთხვევაში თუ რომელიმე ზემოთხსენებულ ქმედებას ექნება ადგილი, სტუდენტს დაეკისრება ეთიკის კოდექსით განსაზღვრული დისციპლინური პასუხისმგებლობა აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დარღვევის გამო, რომლებიც ჭეშმარიტი აკადემიური განათლების განუყოფელი ნაწილი და უნივერსიტეტის ფუნდამენტური ღირებულებაა. სამაგისტრო ნაშრომი მოწმდება პლაგიატზე ელექტრონული პროგრამა „Turnitin"-ის გამოყენებით. ამ მიზნით სამაგისტრო ნაშრომის დაცვამდე მაგისტრანტი დასრულებული ნაშრომის ელექტრონულ ვერსიას, პლაგიატზე შესამოწმებლად, ატვირთავს სპეციალურ ბმულზე, რომელიც მიბმულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ელექტრონული სწავლების პორტალზე.
დამატებითი ინფორმაცია (საჭიროების შემთხვევაში)	მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა ამ ეტაპზე მიიღებს 5 სტუდენტს. **ანალოგები:** 1+1 სისტემა (ანუ კვლევითი მაგისტრატურა - *Research Master's* ან *M.Phil.*) პოლიტიკის მეცნიერებაში ყველაზე მეტად წამყვან ევროპულ და ბრიტანულ უნივერსიტეტებშია დამკვიდრებული. • კონტინენტური ევროპა (სადაც პროგრამას პირდაპირ ჰქვია „Research Master") • **ამსტერდამის უნივერსიტეტი (University of Amsterdam - UvA), ნიდერლანდები** **პროგრამა:** *Research Master's Social Sciences (Focus: Political Science)* **სტრუქტურა:** ზუსტი 1+1 მოდელი. პირველი წელი ეთმობა თეორიას, მოწინავე მეთოდოლოგიას (Quantitative & Qualitative) და კვლევის დიზაინს. მეორე წელი მთლიანად დათმობილია სამაგისტრო თეზისზე მუშაობისა და აკადემიური სტატიის მომზადებისთვის. • **ლეიდენის უნივერსიტეტი (Leiden University), ნიდერლანდები** **პროგრამა:** *MSc in Political Science (Research Tracks)* **სტრუქტურა:** ცნობილია თავისი ძლიერი ანალიტიკური მიდგომით. პირველ წელს სტუდენტები გადიან პოლიტიკურ ინსტიტუტებსა და ქცევას, ხოლო მეორე წელს სრულად გადადიან კვლევით ლაბორატორიებში და წერენ ნაშრომს. • **ევროპის საუნივერსიტეტო ინსტიტუტი (European University Institute - EUI), იტალია (ფლორენცია)** **პროგრამა:** *Master of Research (M.Res.) in Political and Social Sciences*

	სტრუქტურა: ეს არის ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული პოსტსამაგისტრო ცენტრი ევროპაში. მათი 1-წლიანი სასწავლო ბაზისი გადადის მეორე წლის სრულფასოვან კვლევაში, რომელიც ხშირად პირდაპირ ინტეგრირდება Ph.D. პროგრამაში. • **დიდი ბრიტანეთი (სადაც გამოიყენება M.Phil. ფორმატი)** ბრიტანეთში ჩვეულებრივი მაგისტრატურა 1-წლიანია, მაგრამ მათ, ვისაც მეცნიერება და კვლევა სურთ, უნივერსიტეტები სთავაზობენ 2-წლიან (1+1) **M.Phil. (Master of Philosophy)** პროგრამებს: • **ოქსფორდის უნივერსიტეტი (University of Oxford)** **პროგრამა:** *M.Phil. in Politics (Comparative Government / Political Theory)* **სტრუქტურა:** პირველი წელი მოიცავს უმკაცრეს მეთოდოლოგიურ მომზადებას და გამოცდებს. მეორე წელი მთლიანად ეთმობა დამოუკიდებელ კვლევას და 30,000-სიტყვიანი სადისერტაციო ნაშრომის მომზადებას. • **კემბრიჯის უნივერსიტეტი (University of Cambridge)** **პროგრამა:** *M.Phil. in Politics and International Studies* **სტრუქტურა:** ოქსფორდის მსგავსად, აქცენტი გაკეთებულია პირველ წელს აკადემიურ ფუნდამენტზე, ხოლო მეორე წელს ინდივიდუალურ კვლევაზე პროფესორის (Supervisor) უშუალო მეთვალყურეობის ქვეშ. • **ლონდონის ეკონომიკისა და პოლიტიკურ მეცნიერებათა სკოლა (LSE)** **პროგრამა:** *M.Phil. in Political Science* **სტრუქტურა:** გამოიყენება როგორც მოსამზადებელი ეტაპი დოქტორანტურისათვის. პირველი წელი არის თეორიული კურსები (Coursework), ხოლო მეორე წელი - კვლევითი პროექტი.

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სასწავლო გეგმა

ფაკულტეტი: სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა

მიმართულება: პოლიტიკის მეცნიერება

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: პოლიტიკის მეცნიერება
სწავლების საფეხური: მაგისტრატურა

კრედიტების რაოდენობა: 60+60 ECTS

საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი/კოორდინატორი: მალხაზ მაცაბერიძე, პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

აკადემიური საბჭოს მიერ სასწავლო პროგრამის დამტკიცების თარიღი, დადგენილების ნომერი: 22.06.2026 44/2026 (დანართი N 63)

სასწავლო პროგრამის ამოქმედების თარიღი: 2026 – 2027 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრიდან

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა

პირველი ნაწილი

სასწავლო კურსების / მოდულების ტიპი: სავალდებულო 35 კრედიტი (ECTS)												
№	**კოდი**	**სასწავლო კურსის სახელწოდება**	**კრედიტი (ECTS)**	**სტუდენტის საათობრივი დატვირთვა**					**სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობა**	**სწავლების სემესტრი**		**ლექტორი / ლექტორები**
				საკონტაქტო			**დამოუკიდებელი**	**სულ**		**შემოდგომა**	**გაზაფხული**	
				ლექცია	**სემინარი**	**საგამოცდო**						
1		თანამედროვე პოლიტიკური მეცნიერება: ძირითადი	5	15	30	7	73	125	წინაპირობების გარეშე	√		მალხაზ მაცაბერიძე ნინო მაისურაძე

		სკოლები და კონცეფციები										
2		პოლიტიკური კონსულტირება	5	15	30	7	73	125	წინაპირობების გარეშე	√		მალხაზ მაცაბერიძე გიორგი მელიქიძე
3		პოსტსაბჭოთა ქვეყნების შედარებითი პოლიტიკა	6	15	15	6	114	150	წინაპირობების გარეშე	√		მალხაზ მაცაბერიძე თამარ ორჯონიკიძე
4		ქართული პოლიტიკური აზროვნების ევროპეიზაცია	4	15	30	7	48	100	წინაპირობების გარეშე	√		მალხაზ მაცაბერიძე
5		სახელმწიფო და ეკონომიკური პოლიტიკა	5	15	30	4	76	125	წინაპირობების გარეშე		√	გიორგი მელიქიძე
6		სტრატეგია და სტრატეგიული აზროვნება	5	15	30	7	73	125	წინაპირობების გარეშე		√	ნიკო მელქაძე მალხაზ მაცაბერიძე
7		ხელისუფლება და პოლიტიკური პროცესი საქართველოში	5	15	30	7	73	125	წინაპირობების გარეშე		√	მალხაზ მაცაბერიძე

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

არჩევითი სასწავლო კურსები/მოდულები - 25 კრედიტი (ECTS)												
1		პოლიტიკური ელიტების და ლიდერობის თეორიები	5	15	15	5	90	125	წინაპირობის გარეშე	√		ავთანდილ ტუკვაძე
2		პოლიტიკა და თანამედროვე ტექნოლოგიები: თეორიები და საერთაშორისო გამოცდილება	5	15	15	5	90	125	წინაპირობის გარეშე	√		ვლადიმერ ნაფეტვარიძე
3		სპეციალიზებული ინგლისური	5	30	30	5	60	125	წინაპირობის გარეშე	√		ლიკა ბერძენიშვილი
4		პოლიტიკური იდეოლოგიები საქართველოში: ნაციონალიზმი	5	15	15	5	90	125	წინაპირობის გარეშე		√	მალხაზ მაცაბერიძე
5		საქართველოს საგარეო პოლიტიკის გამოწვევები	5	30	15	4	76	125	წინაპირობის გარეშე		√	კორნელი კაკაჩია
6		თანამედროვე პოლიტიკის ეთიკური სტანდარტები	5	15	30	7	73	125	წინაპირობის გარეშე		√	მალხაზ მაცაბერიძე ნათია ზედგინიძე

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პროგრამის მეორე ნაწილი

სასწავლო კურსების / მოდულების ტიპი: სავალდებულო კრედიტი 50 (ECTS)												
№	კოდი	სასწავლო კურსის სახელწოდება	კრედიტი (ECTS)	სტუდენტის საათობრივი დატვირთვა					სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობა	სწავლების სემესტრი		ლექტორი / ლექტორები
				საკონტაქტო			დამოუკიდებელი	სულ		შემოდგომა	გაზაფხული	
				ლექცია	სემინარი	საგამოცდო						
1		რაოდენობრივი კვლევის მეთოდები და მონაცემთა ანალიზი პოლიტიკის მეცნიერებაში	5	15	15	5	90	125	წინაპირობის გარეშე	√		გიორგი მელიქიძე

2		თვისებრივი კვლევის მეთოდები და მონაცემთა ანალიზი პოლიტიკის მეცნიერებაში	6	15	30	6	99	150	წინაპირობის გარეშე	√		თამარ ქარაია
3		აკადემიური წერა და სამაგისტრო კვლევის დიზაინი	4	30	15	7	48	100	წინაპირობის გარეშე	√		თამარ ქარაია გიორგი მელიქიძე
4		სახელმწიფო მართვა და ადგილობრივი თვითმმართველობა	5	15	30	7	73	125	წინაპირობების გარეშე	√		ალექსანდრე სვანიშვილი ვალერიან დოლიძე
5		სამაგისტრო ნაშრომი	30	30				720	ყველა სავალდებულო სასწავლო კურსი		√	პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მოწვეული პერსონალი
არჩევითი სასწავლო კურსები/მოდულები - 10 კრედიტი (ECTS)												
1		საზოგადოება სახელმწიფო და იდეოლოგიები	5	15	15	5	90	**125**	წინაპირობის გარეშე	√		სალომე დუნდუა ზვიად აბაშიძე მალხაზ მაცაბერიძე

2		კონფლიქტები კავკასიასა და ბალკანეთში	5	30	15	5	75	125	წინაპირობის გარეშე	√		ჯაბა უროტაძე
3		ტერორიზმი და კონტრ-ტერორიზმი პოსტსაბჭოთა პერიოდში	5	15	15	5	90	125	წინაპირობის გარეშე	√		ალექსანდრე კუხიანიძე
4		რუსული გეოპოლიტიკური აზროვნება: წარსული და თანამედროვეობა	5	15	30	8	72	125	წინაპირობის გარეშე	√		მალხაზ მაცაბერიძე
5		პოლიცია და დემოკრატიის მშენებლობა: შედარებითი ანალიზი	5	30	15	7	73	125	წინაპირობის გარეშე	√		სალომე დუნდუა მიხეილ სადაღაშვილი

პროგრამის ხელმძღვანელის(ების) ხელმოწერა_____

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____

ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____

ფაკულტეტის დეკანის ხელმოწერა _____

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა_____

თარიღი _____ ფაკულტეტის ბეჭედი

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი